

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო
უნივერსიტეტის
აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის
სხდომის

ოქმი #1

ქ. თბილისი

23 სექტემბერი 2019 წელი

2019 წლის 23 სექტემბერს შედგა აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად საკონკურსო კომისიის სხდომა

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე:

უკლება მაია - გთუნი-ს პრორექტორი, პროფესორი.

კომისიის წევრები:

1. ხუჭუა ვაჟა - გთუნი-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი.
2. ფიცხელაური ნიკოლოზი - გთუნი-ს სამართლის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი.
3. ლოზჟანიძე გივი - გთუნი-ს საჯარო სამართლის კათედრის პროფესორი.
4. ბოჭორიშვილი ნინო - გთუნი-ს სამართლის ფაკულტეტის ხუსი, ასოცირებული პროფესორი, იურისტი

კომისიის მდივანი:

დევდარიანი ქეთევანი - (ხმის უფლების გარეშე) გთუნი-ს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის უფროსი.

კომისიის მოწვეული წევრი:

კვარაცხელია ნია - (ხმის უფლების გარეშე) გთუნი-ს სამართლის ფაკულტეტის სწავლების მეოთხე წლის სტუდენტი.

დღის წესრიგი:

1. აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა. /მომხსენებელი, პროფ. მაია უკლება, კომისიის თავმჯდომარე/
2. კონკურსსანტთან გასაუბრება.

მოისმინეს:

პროფესორ მაია უკლებას ინფორმაცია, აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსში მონაწილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის თაობაზე.

პროფ. მაია უკლებამ აღნიშნა, რომ შპს გთუნი-ს რექტორის მიერ 2019 წლის 24 ივლისის გამოცემული ბრძანების (#01-01/64) საფუძველზე გამოცხადდა ღია კონკურსი. ბრძანებით განისაზღვრა განაცხადებების წარმოდგენის ვადები 2019 წლის 02 სექტემბრიდან 2019 წლის 13 სექტემბრის ჩათვლით. კონკურსის დღე - 2019 წლის 23 სექტემბერი, სააპელაციო ვადა - 3 დღე, საბოლოო შედეგები 2019 წლის 27 სექტემბერს. (ინფორმაცია განთავსებული იყო ვებ-გვერდზე და საქართველოს პერიოდულ პრესაში - გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ 26.07.2019წ.)

კონკურსის საფუძველზე უნივერსიტეტში ასარჩევი აკადემიური პერსონალის რაოდენობა განისაზღვრა 2 კაცით (კერძო სამართლის კათედრა - 2 ასოცირებული პროფესორი), კონკურსში მონაწილეობისათვის დოკუმენტაცია წარმოადგინა 1 კანდიდატმა.

კანდიდატის დოკუმენტაცია წარმოდგენილი იქნა ვადების დაცვით.

საკონკურსო მოთხოვნები და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა განსაზღვრული იყო ზემოაღნიშნული ბრძანებით და განთავსებული იყო ვებ-გვერდზე, რაც ინფორმაციას საჯაროსა და ხელმისაწვდომს ხდიდა აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველთათვის.

გასაუბრებაზე გამოცხადდა 1 კანდიდატი.

კომისიის თავმჯდომარემ, მაია უკლებამ კომისიის წევრებს გააცნო კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, მისი შესაბამისობა მოთხოვნებთან, კერძოდ:

1. **ქ-ნი ლიკა საჯაია** რომელმაც კანდიდატურა წარმოადგინა სამართლის ფაკულტეტზე (კერძო სამართლის კათედრა) ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე. კომისიის თავმჯდომარემ წევრებს გააცნო წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ისაუბრა მის სამეცნიერო და პედაგოგიურ საქმიანობაზე. ქალბატონი ლიკა 12 წელიწადია ეწევა სამეცნიერო - პედაგოგიურ მოღვაწეობას. მას გამოქვეყნებული აქვს 6 სამეცნიერო ნაშრომი, მიღებული აქვს მონაწილეობა სხვადასხვა კონფერენციებში. ქ-ნი ლიკა 2015 წლის 29

ივნისიდან დღემდე არჩეულია კერძო სამართლის კათედრის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

კონკურსანტს დაესვა კითხვები სამეცნიერო-პედაგოგიური და პროფესიული მოღვაწეობის, უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსებისა და დისციპლინების სწავლების კონცეფციის (ბაკალავრიატსა და მაგისტრატურის დონეების მიხედვით) თაობაზე, ასევე სწავლის თანამედროვე მეთოდებზე. მისი პასუხები დადებითად შეფასდა.

კანდიდატთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს კომისიის წევრებმა.

კანდიდატის საკითხი გატანილ იქნა კენჭისყრაზე, რის შედეგადაც კომისიის წევრებმა ერთხმად მიიღეს გადაწყვეტილება და

დაადგინეს:

1. არჩეულ იქნენ შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე 4 (ოთხი) წლის ვადით შემდეგი კონკურსანტი:

სამართლის ფაკულტეტი

კერძო სამართლის კათედრა:

ასოცირებული პროფესორის თანამდებობაზე:

ლიკა საჯაია

2. აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
3. კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს საუნივერსიტეტო სააპელაციო კომისიაში;
4. სააპელაციო ვადა განისაზღვროს სამი სამუშაო დღით კონკურსის ჩატარებიდან; (24, 25, 26 სექტემბერი)
5. კონკურსი დასრულდეს და საბოლოო შედეგები გამოქვეყნდეს 2019 წლის 27 სექტემბერს.

კომისიის თავმჯდომარე:

პროფ. მათა უკლება

კომისიის წევრები:

პროფ. ვაჟა ხუჭუა

ასოც. პროფ. ნიკოლოზ ფიცხელაური

პროფ. რომან შენგელია

ასოც. პროფ. ნუგზარ თევდორაძე

მდივანი:

ქეთევან დევდარიანი